



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

8 აპრილი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №99

მანანა მეგრელიშვილისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების
სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის №42 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბახვის თემში მცხოვრებ მანანა მეგრელიშვილს (პ/№33001019258) გადაეცეს სასყიდლიანი უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 30 წლის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბახვის თემში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2000კვმ. მიწის ნაკვეთი და მასზედ მიმაგრებული შენობა-ნაგებობა. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 23, კვარტალი №22, ნაკვეთი №011, უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №882011489087, მომზადების თარიღი 06.10.2011წ. შენობა ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართი 598.4 კვმ, განაშენიანების ფართი 365 კვ.მ. სართულიანობა 2, №2 საერთო ფართი 135.8 კვმ, განაშენიანების ფართი 147 კვმ, სართულიანობა 1, №3 საერთო ფართი 6,7 კვმ, განაშენიანების ფართი 9 კვმ, სართულიანობა 1.)

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი